ესტონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით მიმართვა გაავრცელა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 10.04.2025. *2025 წლის 9 აპრილს ესტონეთის რიიგიკოგუმ (პარლამენტმა) მიიღო ცვლილებები ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში, რომლებიც პირდაპირ მიმართულია ესტონეთის მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიისა და პიუხტიცას მონასტრის წინააღმდეგ. ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საიტზე* ***პრესისთვის გამოქვეყნებულ ინფოემაციაში*** *ნათქვამია:*

დიდმარხვა დასასრულს უახლოვდება და ახლოვდება ვნების შვიდეული. როგორც ქრისტიანებს, ჩვენ კვლავ გვეძლევა შესაძლებლობა, განვიცადოთ ის, რაც ხდებოდა ბითვინიაში, გეთსიმანიაში და გოლგოთაზე 2 000 წლის წინ, რამეთუ მივუახლოვდით საეკლესიო წლის ყველაზე განსაკუთრებულ ჟამს.

მოდით დავფიქრდეთ ყველაფერზე, რაც მოხდა ქრისტეს ირგვლივ და მივყვეთ მას ჩვენს ცხოვრებაში აქ და ახლა. გამოვნახოთ დრო, რომ მივსდიოთ ქრისტეს მის ტანჯვაში, რომელსაც ვიხსენებთ ჩვენს მსახურებებში, რათა აღდგომის სიხარულის ზიარნიც გავხდეთ.

9 აპრილს რიიგიკოგუმ მიიღო ცვლილებები ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში, რომელიც პირდაპირ ეხება ყველა ჩვენგანს. თუმცა კანონები უნივერსალური უნდა იყოს, მაგრამ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში საუბარია კანონზე, რომელიც კონკრეტულად არის მიმართული ესტონეთის მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიისა და პიუხტიცას მონასტრის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის ვიყავით კანონმორჩილი ეკლესია, ვიცავდით ესტონეთის რესპუბლიკის ყველა კანონს და საკუთარი წვლილი შეგვქონდა ესტონეთის საზოგადოების კეთილდღეობაში, ამ ცვლილებების მიღება მაინც აუცილებელი გახდა.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, რიიგიკოგუში შინაგან საქმეთა მინისტრის პოლიტიკური განცხადების შემდეგ, არანაირი არსებითი განხილვა ამ საკითხისა არ შემდგარა. პირდაპირი დიალოგის ნაცვლად, ჩვენ მოწმენი გავხდით კომუნიკაციის სპეციალისტების მიერ გულმოდგინედ მომზადებულ და კოორდინირებულ მედია კამპანიის, რომლის ფარგლებშიც ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებიც წარმოადგენდა ძირითადად ერთი მხარის თეზისებს, ასევე სახელმწიფო თუ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის ექსპერტებისა და თეოლოგების სუბიექტურ მოსაზრებებს, რამაც გარდაუვლად იმოქმედა ჩვენი მრევლის წევრების განწყობაზე და ვითარებასთან დამოკიდებულებაზე.

კანონის წაკითხვისას გაჟღერებული პოზიციები ან აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებდა, ან ამას ვერ ხედავდა, მაგრამ აპელირებდა უსაფრთხოების საკითხებზე. ჩვენ ძველებურად გვჯერა, რომ ეს პირდაპირ ზღუდავს ჩვენს რელიგიის თავისუფლებას. ამის შეფასებას ვთხოვთ პრეზიდენტს და სამართლის კანცლერს და მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რადგან რელიგიის თავისუფლება უნივერსალურია და ეხება მსოფლიო პრინციპებს.

კანონში დღეს შეტანილი ცვლილებები მოსალოდნელი შედეგი იყო, პროცესის მთელი მიმდინარეობის გათვალისწინებით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავთმობთ ჩვენს უფლებებსა და პრინციპებს. ჩვენ გავაგრძელებთ მსახურებას ჩვენს სამრევლოებში. თუ ჩვენ მივენდობით უფალს და შევუდგებით ღვთის ნების ძიებას ჩვენს ცხოვრებაში დრტვინვისა და მოწყინების გარეშე, მაშინ უფალი არ დაგვტოვებს თავისი შემწეობის გარეშე და დაგვეხმარება ყველა განსაცდელის გადალახვაში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93078/